საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 484/01
25/01/2021

484-01-2-202101252324

შპს „არერსა მეთალს“

მის: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,

სოფელი ლიხაური, ქუჩა 1, ნაკვეთი 107

ელ. ფოსტა: arvind@inbox.lv

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება (N18346; 26.11.2020), რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში შპს „არერსა მეთალის“ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 12 თავი 3.2) წარმოდგენილია მხოლოდ საწარმოს განთავსებისთვის შერჩეული ალტერნატივა და მისი უპირატესობები, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით; შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის ალტერნატიული ვარიანტების (GPS კოორდინატები Shp ფაილებთან ერთად) დეტალური ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს განთავსებისთვის შერჩეულ რაიონში საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს, ამიტომ საწარმოში დაგეგმილია დამოუკიდებელი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო (ტექნოლოგიური მოედნების მოსარეცხად გამოყენებული) ჩამდინარე წყლები ჩაერთვება 40 $მ^3$ მოცულობის საასენიზაციო რეზერვუარში, საიდანაც სპეცმანქანით ამოღებული სითხე ჩაშვებული იქნება ქ. ოზურგეთის საკანალიზაციო კოლექტორში. თუმცა გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ზემოაღნიშნული საკანალიზაციო სისტემის სქემა (გენგეგმაზე დატანით), რაც საჭიროებს დაზუსტებას; ამასთან გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოში ყველა სახის საქმიანობა და ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში და

ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროები პრაქტიკულად არ არსებობს. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები, მათ შორის, როგორ მოხდება სანიაღვრე წყლების მართვა მათი დაბინძურების შემთხვევაში;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წიდასაყარის ირგვლივ გათვალისწინებულია ატმოსფერული წყლების შესაგროვებელი სადრენაჟო სისტემის მოწყობა, რომელიც ჩართული იქნება საწარმოს საკანალიზაციო ქსელში. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ზემოაღნიშნული სადრენაჟო სისტემის სქემა, საკანალიზაციო ქსელთან მიერთებით (გენგეგმაზე დატანით);
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წელიწადში 9 900,0 ტონა ალუმინის ჯართის გადამუშავებისას მიიღება: 990 ტ/წელ ალუმინის შემცველი პირველადი წიდა, რომლის გადამუშავების შედეგად მიიღება 495 ტ/წელ მეორადი წიდა; ალუმინის ჯართის დნობის პროცესის შედეგად წარმოქმნილი წიდის დროებით განთავსებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა წიდასაყარი. დაგროვებული წიდის შემდგომი მართვა განხორციელდება ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად; გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი რა ვადით მოხდება წიდის განთავსება წიდასაყარზე, ასევე არ არის მოცემული კონკრეტულად რომელ კომპანიას გადაეცემა შემდგომი მართვისთვის საწარმოში წარმოქმნილი მეორადი წიდა, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას; გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში (გვ 52 და გვ 275) აღნიშნულია, რომ წიდასაყარი მოეწყობა 30 $მ^2$ ფართობის ტერიტორიაზე, ხოლო გვ 75-ზე აღნიშნულია, რომ წარმოქმნილი მარილშემცველი წიდის დროებითი განთავსება მოხდება 36 $მ^2$ ფართობის მქონე წიდასაყარზე, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს წიდასაყარის ფართობი;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად „საწარმოს შემოგარენში არსებული ხმაურის გამომწვევი საწარმოების პროფილის, საპროექტო საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურის ფონური მდგომარეობისა და დასახლებული პუნქტის დაშორების მანძილის გათვალისწინებით ხმაურის კუმულაციური ზემოქმედებისას დასახლებული პუნქტის საზღვართან არ არის მოსალოდნელი ხმაურის ზღვრულად დასაშვებ დონეზე გადაჭარბება“. აღნიშნულის დასაბუთების მიზნით გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს მიმდებარედ არსებული საწარმოების და საპროექტო საწარმოს ერთდროული ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი ხმაურის დეტალური გაანგარიშება;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს გენგეგმა მასზე ხმაურის წყაროების ჩვენებით;
- დოკუმენტში წარმოდგენილ უნდა იქნეს ტექნოლოგიური დანადგარების და აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ტექნიკური პასპორტები;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია აირმტვერგამწმენდი სისტემის მე-4 საფეხურზე გამოყენებული სველი ფილტრის - სკრუბერის ექსპლუატაციისთვის გამოყენებულ კარბამიდთან დაკავშირებით, მათ შორის, ინფორმაცია კარბამიდის საწარმოში მიღების/გადატვირთვის/შენახვის, ასევე, ხსნარის მომზადების, გამოყენების და შენახვის შესახებ;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტის (გვ. 5) თანახმად, საწარმოში ნედლეულად გამოიყენება სპილენძის ჯართი, რაც არ შეესაბამება ტექნოლოგიური პროცესის აღწერას და საჭიროებს შესწორებას;

- გზშ-ის ანგარიშსა და ზდგ ნორმების პროექტში დაზუსტებას საჭიროებს გ-1 გაფრქვევის წყაროს შესაბამისი გამოყოფის წყაროების დასახელება, ვინაიდან, აღნიშნული წყარო მოიცავს როგორც სადნობ, ისე ჩამოსხმის უბანსაც;
- გზშ-ის ანგარიშსა და ზდგ ნორმების პროექტში მავნე ნივთიერების - ალუმინის ოქსიდის სახელწოდება უნდა შეიცვალოს ფორმულირებით - მყარი ნაწილაკები (ალუმინის ოქსიდის მტვერი). ამასთან, შესწორებას საჭიროებს ატმოსფერულ ჰაერში ზდგ ნორმების მოქმედების ვადა (დოკუმენტში აღნიშნულია 2019-2024 წლები);

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების შესაბამისად, აღნიშნული პროექტის სკოპინგის ეტაპზე არ ჩატარებულა საჯარო განხილვა, ამასთან საწარმოს ტერიტორია მდებარეობს დასახლებული პუნქტისა და საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს (დასავლეთით-115 მ, ჩრდილოეთით-34 მ), საჭიროა სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს საწარმოს გავლენის ზონაში, საწარმოს განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვართან უშუალო სიახლოვეს არსებულ მოსახლესთან/მოსახლეებთან კომუნიკაციის ან/და შეთანხმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტი;

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში. ამასთან, გაცნობებთ რომ დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. შესაბამისად, 2021 წლის 28 იანვარს 15:00 საათზე ჩანიშნული საჯარო განხილვა არ გაიმართება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე